პირველადი ჯანდაცვის გაძლიერების ხელშეწყობა საქართველოში - (ფაზა II)

ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი / საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო

<u>პროექტის ხანგრძლივობა:</u> 2020 წლის მაისი - 2023 წლის ივნისი

<u>პროექტის აღწერილობა:</u> ჩეხეთის განვითარების სააგენტოს ხელშეწყობით ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი საქართველოში თანამშრომლობს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსთან პირველადი ჯანდაცვის ხარისხის გაძლიერების მიმართულებით, რაც მოიცავს:

ა) პირველად ჯანდაცვაში ხარისხის მართვის ინსტრუმენტების დანერგვას,

ბ) სოფლად ოჯახის ექიმებისა და პჯდ ცენტრებისთვის ინფორმაციის მართვის სტანდარტიზებული ელექტრონული სისტემის შექმნას, და

გ) ქვეყნის მასშტაბით პირველადი ჯანდაცვის პერსონალის კვალიფიკაციის სტანდარტების განახლებას და უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემის ჩამოყალიბებას.

პროექტის შედეგებით ისარგებლებს მთლიანად ქვეყანა, ვინაიდან თითოეული შედეგი საბოლოო ჯამში გადაეცემა სამინისტროს. საწყის ეტაპზე პროექტის პილოტირება დაგეგმილია მცხეთა-მთიანეთის და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონების შერჩეულ მუნიციპალიტეტებში. ამასთანავე, პროექტი აგრძელებს პირველადი სამედიცინო დახმარების ხარისხის გაზომვისა და გაუმჯობესების სისტემის სრულყოფას თბილისის ხუთ საპილოტე სამედიცინო დაწესებულებაში, სადაც მიმდინარეობდა პროექტის პირველი ფაზა. მთლიანობაში, 46 სამედიცინო დაწესებულება ჩაერთვება პროექტში.

პროექტის საქმიანობების შედეგად:

- შეიქმნება ახალი სტანდარტიზებული მართვის ელექტრონული საინფორმაციო სისტემა, რიგების მართვის ელექტრონული სისტემა, ტელემედიცინის და რეფერალის მართვის ელექტრონული სისტემები, გაფართოვდება და დაინერგება პირველადი ჯანდაცვის მონაცემთა გაცვლის და ანალიტიკური მოდულები პჯდ სერვისის მიმწოდებლებისთვის შერჩეულ რეგიონებში;
- ჩატარდება ტრენინგი მართვის ელექტრონული საინფორმაციო სისტემის და მისი კომპონენტების გამოყენებაში საპილოტე რეგიონების სოფლად დასაქმებული ოჯახის ექიმებისთვის;
- განახლდება პირველად ჯანდაცვაში გავრცელებული მდგომარეობების მართვის კლინიკური პროტოკოლები და ჩატარდება სამედიცინო პერსონალის ტრენინგი ამ ინსტრუმენტების გამოყენებაში;
- შეიქმნება პირველადი ჯანდაცვის რგოლში მომუშავე პერსონალის კვალიფიკაციის სტანდარტები და მოთხოვნები;
- შემუშავდება პირველად ჯანდაცვაში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის უწყვეტი სამედიცინო განათლების რვა ელექტრონული მოდული და ჩაუტარდება დისტანციური სწავლება ოჯახის ექიმებს;
- დაინერგება სამედიცინო დაწესებულების შიდა საქმიანობის შესრულების მართვის სისტემა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით;
- შეიქმნება COVID-19 ლაბორატორიული საინფორმაციო სისტემა COVID-19-ეფექტური მეთვალყურეობისთვის;
- გაძლიერდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის და ინფექციურ დაავადებათა სპეციალისტების გადაუდებელი რეაგირების რესურსი COVID-19 ლაბორატორიული საინფორმაციო სისტემის გამოყენების სწავლების გზით.

პროექტის აქტივობები ხელს შეუწყობს შედეგებზე დაფუძნებული დაფინანსების მექანიზმის შემოღებას, რომელიც პირდაპირ კავშირში იქნება სამედიცინო მომსახურების ხარისხთან და დაეყრდნობა დაწესებულების მიერ მიწოდებული სერვისის შეფასების სხვადასხვა ინდიკატორს.